



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49222738

თარიღი:30/09/2022

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №119

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2022 წლის I -II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს ა(ა)იპ „ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს ანგარიში 2022 წლის I -II კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.
2. ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი“-ს მიერ 2022 წლის I-II კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი



ანგარიში

ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ მიერ 2022 წლის I –II კვარტალში
გაწეული მუშაობის შესახებ

მოგახსენებთ , რომ ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში“ 2022 წელს ირიცხება 190 ბენეფიციარი. მათი კვება ხდება დღეში ერთხელ, წელიწადში 365 დღე. მათ მომსახურებას უწევს ა(ა)იპ-ის 10 თანამშრომელი.

სათნოების სახლის დაფინანსების წყაროს წარმოადგენს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, 2022 წლის ბიუჯეტი შეადგენს 296000 ლარს, აქედან პირველ მეორე კვარტალში დაიხარჯა 134322 ლარი .

კვების რაციონს შეადგენს : კვირაში 5 ჯერ ხორცის კერძი , წვნიანები , წიწიბურას, ბრინჯის და ვერმიშელის ფაფები, კვერცხი , ლობიო, მაკარონი , ყველი. 250 გრამი პური, ერთ ბენეფიციარზე და ხილის კომპოტი.

2022 წელს ერთ ბენეფიციარზე დღეში იხარჯება 2,27 ლარი.

არსებული პანდემიის ფონზე ჩვენს სამსახურს ერთი დღითაც არ შეუწყვეტია საქმიანობა, პირველივე დღეებიდან ავკრძალეთ ადგილზე კვება და გადავდით გატანის სერვისზე. მართალია პანდემია ასე თუ ისე ჩაცხრა, მაგრამ არსებული შემთხვევების ფონზეც, თავის დაზღვევის მიზნით კვლავაც ვაგრძელებთ გატანის სერვისს.

წარმატებით მუშაობდა და მუშაობს „შინმოვლის“ პროგრამა რითაც გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ ბენეფიციარებისათვის სახლში მიგვაქვს საკვები, ასეთი გვყავს 20 ბენეფიციარი. ყოველდღიურად ვაწვდით საკვებს და სხვა სერვისებს .

2022 წელს კვებაში გათვალისწინებული გვექონდა 170000 ლარი, თუმცა ჩატარებული ტენდერების შემდეგ რეალურად დაიხარჯება 158000 ლარი.

შრომის ანაზღაურებაში დაიხარჯა - 48600 ლარი

კომუნალურ ხარჯებში -2526 ლარი.

კავშირგაბმულობის ხარჯი -723 ლარი

სხვადასხვა ხარჯებში (რეცხვა, ქიმწმენდა , ტენდერის ხარჯი, დეზინფექცია და ა. შ.) – 3503 ლარი

დაცვის ხარჯი- 400 ლარი

კვება- 69866 ლარი.

ხორცსაკეპი მანქანისა და წყლის გამათბობელი აპარატის შეძენა- 2550 ლარი

ტრანსპორტის ხარჯი (შეკეთება, საწვავი, მოვლა პატრონობა) -6154 ლარი.

როგორც მოგახსენებთ მერიიდან გადმოგვეცა ავტომობილი ფორდ ტრანზიტი, რომელიც ხშირად გამოდის მწყობრიდან და მისი მოვლა პატრონობის ხარჯი არაადეკვატურია, ამიტომ თხოვნით მივმართეთ მერიას რათა დაგვართოს ნება აუქციონის წესით გავასხვისოთ და მიღებული თანხით შევიძინოთ, რაიმე უფრო, რენტაბელური ავტომობილი, შინმოვლის პროგრამისათვის. აღნიშნულთან დაკავშირებით ვაგროვებთ საბუთებს , კონსულტაციებს გავდივართ საქართველოს ფინანსისტთა ასოციაციასთან, ჩავატარებთ აუდიტორულ დათვალიერებას და აუდიტის შეფასების საფუძველზე გავიყვანთ აუქციონზე.

სულ 2022 წლის 1-2 კვარტალში

დაიხარჯა 134322 ლარი.

სათნოების სახლი მუშაობს ყოველგვარი შეფერხების გარეშე.